186
1981/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1

120

იანვარი—თებერვალი

1981 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

17087

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1 იანვარი—თებერვალი 1981 წ.

## შინაარსი

**საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება**

1. ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების დებულების დამტკიცების შესახებ

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება**

2. საქართველოს სსრ ქალაქების საბინაო ფონდის ტექნიკური მდგომარეობისა და კეთილმოწყობის რესპუბლიკურ დათვალიერებათა ჩატარების დებულების დამტკიცების და საქართველოს სსრ ქალაქების საბინაო ფონდის ტექნიკური მდგომარეობისა და კეთილმოწყობის დათვალიერების რესპუბლიკური კომისიის შექმნის შესახებ

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები**

3. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 13 ნოემბრის № 1024 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

კ. მარქ... სახ. საქ. სსრ
სახელმწ... რესპუბლ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 1

4. საქართველოს სსრ კანონთა წიგნში შესატან საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებში ტერმინებისა და სახელწოდებების დაზუსტების შესახებ
5. დ. ა. გამრეკელის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ
6. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის, ცხვრის, თხის, ბოცვრისა და ფრინველის ხორცის შესასყიდი ფასების დამტკიცების შესახებ
7. სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანებათა ზოგადი დებულებით დაწესებული პირობების მიხედვით საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს მუშაობის ორგანიზაციის შესახებ
8. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თბილისის ზღვის კეთილმოწყობისა და განაშენიანების სპეციალიზებული სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ
9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 23 აგვისტოს № 482 დადგენილების მე-2 პუნქტის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ
10. საქართველოს სს რესპუბლიკაში საქალაქთაშორისო საავტომობილო ტვირთზიდვის ორგანიზაციის დებულების დამტკიცების შესახებ
11. ი. ნონეშვილის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ
12. საქარეთვლოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ფრიადოსანი სტუდენტებისათვის აკადემიკოს ა. ი. დიდებულიძის სახელობის ორი სტიპენდიის დაწესების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

## 1 ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

დამტკიცდეს თანდართული დებულება ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების შესახებ.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე |
| **ე. შევარდნაძე.** | **ზ. პატარიძე.** |

ქ. თბილისი, 1981 წ. 3 თებერვალი, № 93

**დამტკიცებულია**
**საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 3 თებერვლის № 93 დადგენილებით**

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების შესახებ

1. საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიები მიენიჭებათ ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის შესანიშნავი ნაწარმოებებისათვის, რომლებმაც ფართო საზოგადოებრივი აღიარება დაიმსახურეს, წვლილი შეაქვთ ქართულ საბჭოთა კულტურაში, ზრდიან მშრომელებს საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, კომუნისტური იდეალებისადმი ერთგულების სულისკვეთებით.

2. საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიები, თითო 2,5 ათასი მანეთის ოდენობით, მიენიჭება ორ წელიწადში ერთხელ, 7 პრემია: თითო პრემია ლიტერატურის, მუსიკალური და საშემსრულებლო ხელოვნების, სახვითი ხელოვნების, თეატრის, კინემატოგრაფიისა და ტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევიზიის, არქიტექტურის, საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში.

**შენიშვნა:** ნამუშევრები, რომელთაც მინიჭებული აქვთ ლენინური პრემია, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემია, მოძმე რესპუბლიკების სახელმწიფო პრემიები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემია „ხუთწლედის მატიანე", ვ. მაიაკოვსკის სახელობის პრემია, ლენინური კომკავშირის სახელობის საკავშირო პრემია, საქართველოს ლენინური კომკავშირის სახელობის პრემია, საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად არ შეიძლება იქნეს წარდგენილი.

3. ნაწარმოებთა განხილვა და საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების მინიჭება ეკისრება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტს.

4. საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად შრომებს წარადგენენ შემოქმედებითი კავშირებისა და საზოგადოებათა გამგეობები, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია და მისი ინსტიტუტები, უმაღლესი სასწავლებლები, სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების კოლეგიები, გამომცემლობები, გაზეთებისა და ჟურნალების სარედაქციო კოლეგიები, აგრეთვე ვების კრებები.

წარდგენა უნდა ხდებოდეს ნაწარმოებთა იდეური და მხატვრული დონისადმი მაღალი მომთხოვნელობის, ნამუშევრების, ცალკეული ავტორებისა და ავტორთა კოლექტივების კანდიდატურების დასაბუთებული და ობიექტური განხილვის ვითარებაში.

5. საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილ ნამუშევრებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი მიიღებს ორი წლის განმავლობაში პრემიების მინიჭების წლის წინა წლის 15 ნოემბრამდე.

6. საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილ უნდა იქნეს ნაწარმოებები, რომლებიც შექმნილია მინიჭების წლამდე არა უმეტეს სამი წლისა, და საზოგადოებრიობისათვის ცნობილი გახდა პრემიების მინიჭების დღემდე ექვსი თვით ადრე მაინც.

7. ლიტერატურის ნაწარმოებები საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარდგენილ იქნეს მხოლოდ პრესაში დასრულებული სახით გამოქვეყნების შემდეგ, მუსიკის, თეატრალური და სახვითი ხელოვნების, კინემატოგრაფიისა და ტელევიზიის ნაწარმოებები — მას შემდეგ, რაც მათ ფართოდ გაეცნობა საზოგადოებრიობა კონცერტებზე, გამოფენებზე, თეატრებში, რადიოსა და ტელევიზიის მეშვეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით, ხოლო არქიტექტურის ნაწარმოებები — მხოლოდ ობიექტების აგების დამთავრების შემდეგ.

პრემიების მოსაპოვებლად წარდგენილი ნაწარმოებები ფართოდ უნდა განიხილოს შემოქმედებითმა კავშირებმა და საზოგადოებებმა, მხატვრულმა კოლექტივებმა, უმაღლესმა სასწავლებლებმა, სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, აგრეთვე საჭიროა განხილულ იქნეს პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით.

განხილვის მასალები დროულად უნდა გაეგზავნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტს.

საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილ ნაწარმოებთა შესახებ შეუძლიათ თავიანთი აზრი აცნობონ ცალკეულმა პირებმა ან პირთა ჯგუფმა.

8. პრემიების მოსაპოვებლად წარდგენილ ნაწარმოებებს წინასწარ განიხილავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსეიული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის პრეზიდიუმი, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას კომიტეტის სხდომაზე განსახილველად ნამუშევრების შემდგომი დაშვების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ მოწონებული ნამუშევრების ნუსხა გამოქვეყნდება ამ ნაწარმოებების ავტორთა აღნიშვნით პრესაში არა უგვიანეს ორი თვისა პრემიების მინიჭების დღემდე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის გადაწყვეტილება საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ ძალაში შევა მას შემდეგ, რაც მათ დაამტკიცებენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ გამოქვეყნდება პრესაში 25 თებერვლისათვის — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წლისთავისათვის.

9. ავტორთა კოლექტივებისათვის პრემიების მინიჭებისას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი ხელმძღვანელობს შემდეგით: ორ ავტორს შორის ფულადი პრემია განაწილდება თანაბრად; თუ კოლექტივი სამი ავტორისაგან შედგება, ხელმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძღვანელს მიეცემა პრემიის ნახევარი, ხოლო მეორე ნახევარი გაუნაწილდება თანაბრად ავტორთა კოლექტივის ორ დანარჩენ წევრს; თუ კოლექტივი ოთხი ან მეტი ავტორისაგან (მაგრამ არა უმეტეს ექვსისა) შედგება, ხელმძღვანელს მიეცემა პრემიის ერთი მესამედი, ხოლო ორი მესამედი გაუნაწილდება დანარჩენ ავტორებს. იმ შემთხვევაში, თუ ავტორთა კოლექტივი ხელმძღვანელს არ ასახელებს, პრემია გაუნაწილდება კოლექტივის ყველა წევრს თანაბრად.

10. პირებს, რომლებმაც პრემია დაიმსახურეს, მიენიჭებათ წოდება „საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი“ და გადაეცემათ დიპლომი და მედალი.

11. საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად დასახელებულ ნაწარმოებთა წარდგენის წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი.

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

## 2 საქართველოს სსრ ქალაქების საბინაო ფონდის ტექნიკური მდგომარეობისა და კეთილმოწყობის რესპუბლიკურ დათვალიერებათა ჩატარების დებულების დამტკიცების და საქართველოს სსრ ქალაქების საბინაო ფონდის ტექნიკური მდგომარეობისა და კეთილმოწყობის დათვალიერების რესპუბლიკური კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ ქალაქების საბინაო ფონდის ტექნიკური მდგომარეობისა და კეთილმოწყობის რესპუბლიკურ დათვალიერებათა ჩატარების შესახებ.

2. შეიქმნას საქართველოს სსრ ქალაქების საბინაო ფონდის ტექნიკური მდგომარეობისა და კეთილმოწყობის დათვალიერების რესპუბლიკური კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ი. გ. ხაზარაძე — საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივანი (კომისიის თავმჯდომარე);

გ. ბ. დოლიძე — საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);

მ. ა. ჯაბუა — საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საბინაო-საყოფაცხოვრებო განყოფილების გამგე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | |
|---|---|
| თ. ლ. ჯაფარიძე | — საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საბინაო მეურნეობის მთავარი სამმართველოს უფროსი; |
| გ. ა. ბუქგულაშვილი | — ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე; |
| მ. ნ. მღებრიშვილი | — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე; |
| გ. ა. ჭანტურია | — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველოს უფროსი. |

| | |
|---|---|
| საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე | საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე |
| **ზ. პატარიძე.** | **თ. მოსაშვილი.** |

ქ. თბილისი, 1981 წ. 2 თებერვალი, № 66

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა
და საქართველოს პროფკავშირთა რეს-
პუბლიკური საბჭოს 1981 წლის 2 თე-
ბერვლის № 66 დადგენილებით

## დებულება

### საქართველოს სსრ ქალაქების საბინაო ფონდის ტექნიკური მდგომარეობისა და კეთილმოწყობის რესპუბლიკურ დათვალიერებათა ჩატარების შესახებ

„საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო ფონდის ექსპლუატაციისა და რემონტის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 19 დეკემბრის № 827 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ ქალაქების საბინაო ფონდის ტექნიკური მდგომარეობისა და კეთილმოწყობის რესპუბლიკურ დათვალიერებებს ატარებენ ყოველწლიურად 1 ივნისიდან 15 ოქტომბრამდე პერიოდში აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები, აგრეთვე სამინისტროები, უწყებები, საწარმოები და ორგანიზაციები, რომელთაც თავიანთ ბალანსზე აქვთ საბინაო ფონდი.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

## I. დათვალიერებათა მიზნები და ამოცანები

საქართველოს სსრ ქალაქების საბინაო ფონდის ტექნიკური მდგომარეობისა და კეთილმოწყობის რესპუბლიკურ დათვალიერებათა მიზანია ისეთ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც ითვალისწინებენ საცხოვრებელი სახლების, მათი საინჟინრო მოწყობილობის ტექნიკური მდგომარეობისა და სახლთმფლობელობათა ტერიტორიის სანიტარიული მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებას, ზამთრისათვის საბინაო ფონდის დროულად მომზადების უზრუნველყოფას. ამ სამუშაოთა შესასრულებლად საბინაო-საექსპლუატაციო, სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების მატერიალური და შრომითი რესურსების მიზიდვას, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ქალაქების მთელი მოსახლეობის ფართო მონაწილეობით.

ამისათვის გათვალისწინებულია:

— განხორციელდეს თითოეული სახლის, სადარბაზოს, სახლის მიმდებარე ტერიტორიის საგულდაგულო საკომისიო გამოკვლევა, ამასთან განისაზღვროს შენობებისა და მათი საინჟინრო მოწყობილობის (სანიტარიულ-ტექნიკურ მოწყობილობათა სისტემების, სახურავების, ფასადების, აივნების, სადარბაზოების) და შენობათა სხვა ელემენტების რემონტის სამუშაოთა შესრულების მოცულობა, ვადები და კონკრეტული შემსრულებლები;

— უზრუნველყოფილ იქნეს საცხოვრებელი სახლების კაპიტალური და მიმდინარე რემონტის გეგმების შესრულება. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების საცხოვრებელი სახლების სარემონტო სამუშაოთა დამტკიცებული ვადების დაცვა და ამ სამუშაოთა ხარისხის ამაღლება;

— შესრულდეს სახლის მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობისა და მათი სანიტარიული მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების სამუშაოები, განხორციელდეს ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებანი, აღებულ იქნეს ძველი ღობეები და სხვა ნაგებობანი, რომელთაც არა აქვთ საწარმოო და საექსპლუატაციო დანიშნულება;

— განხორციელდეს სახლის მიმდებარე ტერიტორიების ტროტუარებისა და გზების საფარის, სპორტული და ბავშვთა სათამაშო მოედნებისა და კეთილმოწყობის სხვა ელემენტების რემონტი;

— დაირგოს ხეები, ბუჩქები, გაშენდეს გაზონები ეზოებში, აგრეთვე წესრიგში იქნეს მოყვანილი მწვანე ნარგავები;

— ფართოდ განვითარდეს მოსახლეობაში და საექსპლუატაციო ორგანიზაციებს შორის სოციალისტური შეჯიბრება სახლების, სადარბაზოების, ბინების სანიმუშო-მოვლა-პატრონობისა და მაღალი საყოფაცხოვრებო კულტურისათვის;

— შეიქმნას დათვალიერებათა პერიოდში სახლების საზოგადოებრივი საბჭოები იქ, სადაც არაა შექმნილი, გააქტიურდეს მათი მუშაობა იმ კონკრეტული საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც მიზნად ისახავენ საცხოვრებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლებისა და სახლმფლობელობათა მოწყობილობის დაცვა-შენარჩუნებისა ზრუნველყოფას;

— განხორციელდეს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საბინაო ფონდის დროულად და ხარისხიანად მომზადებას ზამთრის პირობებში ექსპლუატაციისათვის;

— ფართოდ გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციებს შორის და მობინადრეთა შორის:

სანიმუშოდ მოვლილი და მაღალი საყოფაცხოვრებო კულტურის სადარბაზოს;:

სანიმუშოდ მოვლილი და მაღალი საყოფაცხოვრებო კულტურის საცხოვრებელი სახლის;

სახლის მიმდებარე საუკეთესო ტერიტორიის;

საუკეთესო საბავშვო, სპორტული მოედნის;

საუკეთესო კლუბის (წითელი კუთხის);

საბინაო-საექსპლუატაციო უბნის ოსტატის საუკეთესო უბნის;

საბინაო ფონდის სანიმუშოდ მომვლელი საბინაო-საექსპლუატაციო უბნის (ტრესტის) წოდების მოსაპოვებლად.

## II. დათვალიერებათა პირობები

საქართველოს სსრ ქალაქების საბინაო ფონდის ტექნიკური მდგომარეობისა და კეთილმოწყობის რესპუბლიკურ დათვალიერებებში მონაწილეობენ სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომების, საბინაო ფონდის მქონე საწარმოების, ორგანიზაციების, სამინისტროებისა და უწყებების საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციები, სარემონტო-სამშენებლო და სამშენებლო ორგანიზაციები, საქალაქო მეურნეობის სამსახურები, რომლებიც მომსახურებას უწევენ საბინაო ორგანიზაციებს, აგრეთვე სამრეწველო საწარმოები, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ორგანიზაციები, რომლებიც საშეფო დახმარებას უწევენ საბინაო მეურნეობას.

მთელი მუშაობა დათვალიერებათა პროცესში მიზნად უნდა ისახავდეს ამ დებულების I განაყოფში განსაზღვრული დათვალიერებათა ძირითადი ამოცანების შესრულებას.

დათვალიერებათა ჩასატარებლად შეიქმნება დამთვალიერებელი კომისიები:

— საცხოვრებელ სახლებსა და სადარბაზოებში — სახლების ან სადარბაზოების მობინადრეთაგან შექმნილი საბჭოების წევრთა შემადგენლობით;

— ოსტატის უბანზე — ოსტატის თავმჯდომარეობით სახლის კომიტეტების, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთა გამგეობების, მოსახლეობის აქტივის წარმომადგენელთა და საუკეთესო მუშათა შემადგენლობით;

— საბინაო-საექსპლუატაციო უბნებში — უბნის უფროსის თავმჯდომარეობით პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციის წარმომადგენელთა, სახლის კომიტეტების თავმჯდომარეთა, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების გამგეობების თავმჯდომარეთა, რაიონული საბჭოს დეპუტატთა და შეფი ორგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიზაციების წარმომადგენელთა, აგრეთვე ოსტატთა, საუკეთესო მუშათა და მოსახლეობის აქტივის წარმომადგენელთა შემადგენლობით;

— ქალაქებსა და რაიონებში — სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული) საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა (თავმჯდომარეების მოადგილეთა) თავმჯდომარეობით საბინაო მეურნეობის ტრესტების მმართველთა, საბინაო-საექსპლუატაციო უბნების უფროსთა, პარტიული ორგანიზაციების, პროფკავშირის კომიტეტების წარმომადგენელთა, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების დეპუტატთა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა შემადგენლობით;

— საბინაო ფონდის მქონე საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში — საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელის (კომისიის თავმჯდომარე), საბინაო-კომუნალური განყოფილების ხელმძღვანელის, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენელთა შემადგენლობით;

— ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში — ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთა და სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის, საბინაო-კომუნალური ორგანოების, პროფკავშირის საოლქო საბჭოების ხელმძღვანელთა, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს დეპუტატთა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა შემადგენლობით.

საოლქო, საქალაქო (რაიონული) დამთვალიერებელი კომისიები შეიქმნება სახალხო დეპუტატთა შესაბამისი ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებებით.

დამთვალიერებელი კომისიები ავტონომიურ რესპუბლიკებში შეიქმნება შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით.

რესპუბლიკური დამთვალიერებელი კომისია შეიქმნება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

დამთვალიერებელი კომისიები შეადგენენ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმებს დათვალიერების მთელი პერიოდისათვის, დაამტკიცებენ მათ საანგარიშო წლის არა უგვიანეს 1 თებერვლისა და რეგულარულად განიხილავენ თავიანთ სხდომებზე სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით დათვალიერების მიმდინარეობის საკითხებს.

სამეურნეო და პროფკავშირული ხელმძღვანელები მიიღებენ ყოველგვარ საჭირო ზომებს დამთვალიერებელი კომისიების წარმატებული მუშაობის უზრუნველსაყოფად.

## III. დათვალიერებათა ჩატარების და მათი შედეგების შეჯამების წესი

საქართველოს სსრ ქალაქების საბინაო ფონდის ტექნიკური მდგომარეობისა და კეთილმოწყობის რესპუბლიკური დათვალიერებები ტარდება დამთვა-

ლიერებელი კომისიების შიერ დამტკიცებულ ღონისძიებათა გეგმების მიხედ-
ვით.

ღონისძიებათა გეგმები უნდა ითვალისწინებდეს:

— თითოეული საცხოვრებელი სახლის, ეზოს ტერიტორიისა და საინჟინრო მოწყობილობის დათვალიერებას და დათვალიერების პერიოდში შესასრულებელ სამუშაოთა ნუსხის განსაზღვრას (დათვალიერების შედეგების მიხედვით დგება შესაბამისი აქტები);

— საცხოვრებელი შენობების კაპიტალური და მიმდინარე რემონტის, სახლის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის და ზამთრისათვის შენობათა მომზადების გეგმების შესრულების უზრუნველყოფას;

— გეგმებით გაუთვალისწინებელ სამუშაოთა დამატებითი მოცულობის განსაზღვრასა და შესრულებას, შრომითი და მატერიალური რესურსების გამოვლენას უშუალოდ მათი შესრულების ადგილებზე;

— მოსახლეობის მიზიდვას დათვალიერების მსვლელობაში საცხოვრებელი შენობების დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის სამუშაოთა განხორციელებაში, ნებაყოფლობითი სარემონტო რაზმების საქმიანობის აქტივიზაციას;

— დათვალიერებათა მსვლელობაში ბინების, მათი საერთო სარგებლობის ადგილების გამოვლენას მობინადრეთა სახსრების ხარჯზე საჭირო რემონტის ჩასატარებლად, მათთვის დახმარების გაწევას მასალების, მოწყობილობის შეძენაში და სამუშაოთა საწარმოებლად სარემონტო ორგანიზაციის გამოყოფაში.

საბინაო-საექსპლუატაციო უბნების, ოსტატის უბნების და სხვა ორგანიზაციების დამთვალიერებელი კომისიები სისტემატურად უნდა აანალიზებდნენ დამტკიცებული გეგმების შესრულების მიმდინარეობას და იღებდნენ კონკრეტულ ზომებს მათი შესრულების უზრუნველსაყოფად.

ძირეული დამთვალიერებელი კომისიები დათვალიერებათა შედეგებს შეაჯამებენ ყოველთვიურად, საქალაქო (რაიონული) დამთვალიერებელი კომისიები, აგრეთვე საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა დამთვალიერებელი კომისიები — კვარტალის, ნახევარი წლის და მთელი წლის მუშაობის შედეგების მიხედვით არა უგვიანეს საანგარიშო წლის მომდევნო წლის 15 იანვრისა, ამ დებულების დანართის თანახმად გათვალისწინებული მაჩვენებლების საფუძველზე.

ანგარიშებს დათვალიერების მიმდინარეობის შესახებ წარუდგენენ წლის შედეგების მიხედვით რესპუბლიკურ დამთვალიერებელ კომისიას.

დამტკიცებული ღონისძიებათა გეგმების შესრულების შემოწმების შედეგების მიხედვით განისაზღვრება საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებმაც საუკეთესო შედეგები მოიპოვეს მუშაობაში.

იმ კოლექტივებისა და ორგანიზაციების წასახალისებლად, რომლებმაც საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვეს დათვალიერებათა მსვლელობაში, წესდება შემდეგი წოდებანი:

— „სანიმუშოდ მოვლილი და მაღალი საყოფაცხოვრებო კულტურის საერბაზო“;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— „სანიმუშოდ მოვლილი და მაღალი საყოფაცხოვრებო კულტურის საცხოვრებელი სახლი“ )გადაეცემა დიპლომი):

— „საბინაო-საექსპლუატაციო უბნის ოსტატის საუკეთესო უბანი“ (გადაეცემა სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასკომისა და პროფკავშირთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს ვიმპელი და საპატიო სიგელი).

— „საბინაო ფონდის სანიმუშოდ მოვლილი საბინაო-საექსპლუატაციო უბანი (ტრესტი)“ (გადაეცემა საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს და ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ვიმპელი და საპატიო სიგელი).

დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფი იმ საქალაქო (რაიონული) საბინაო ორგანიზაციების კოლექტივების წახალისების მიზნით, რომლებმაც საუკეთესო შედეგები მოიპოვეს დათვალიერებაში, წესდება საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საპატიო სიგელი, აგრეთვე ფულადი პრემია საბინაო ორგანიზაციათა საკუთარი სახსრების (მოგებისა და ჭარბი შემოსავლის) ხარჯზე შემდეგი ოდენობით:

I ზონა — ქალაქ თბილისის რაიონები

პირველი ადგილისათვის — 2.500 მანეთი;
მეორე ადგილისათვის — 1.800 მანეთი,
მესამე ადგილისათვის — 1.000 მანეთი;

II ზონა — ქალაქები სოხუმი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი

პირველი ადგილისათვის — 2.000 მანეთი;
მეორე ადგილისათვის — 1.500 მანეთი;
მესამე ადგილისათვის — 800 მანეთი;

III ზონა — ქალაქები ახალციხე, ბორჯომი, გაგრა, გუდაუთა, ოჩამჩირე, ზუგდიდი, ქობულეთი, ფოთი, თელავი, ცხინვალი, წყალტუბო, ჭიათურა, ბიჭვინთა

პირველი ადგილისათვის — 1.500 მანეთი;
მეორე ადგილისათვის — 1.200 მანეთი;
მესამე ადგილისათვის — 800 მანეთი.

დანარჩენი ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დაბების საბინაო ორგანიზაციები კარგი მაჩვენებლებისათვის დაჯილდოვდებიან სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული) საბჭოების აღმასკომებისა და პროფკავშირთა საქალაქო (რაიონული) საბჭოების საპატიო სიგელებით.

საპრიზო ადგილები მიეკუთვნებათ რესპუბლიკური დამთვალიერებელი კომისიისათვის დათვალიერების შედეგების წარდგენის შემდეგ საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის და ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა
და საქართველოს პროფკავშირთა რეს-
პუბლიკური საბჭოს 1981 წლის 2
თებერვლის № 66 დადგენილებით და-
ტკიცებული საქართველოს სსრ ქალა-
ქების საბინაო ფონდის ტექნიკური
მდგომარეობისა და კეთილმოწყობის
რესპუბლიკურ დათვალიერებათა ჩატა-
რების დებულების დანართი

## ანგარიში

(აღმასკომის, სამინისტროს, უწყების, საწარმოს),

ორგანიზაციის დასახელება)

საბინაო ფონდის ტექნიკური მდგომარეობისა და კეთილმოწყობის დათვალიერების სამუშაოთა შესრულების შესახებ 198——წლის———— მდგომარეობით.

| ობიექტების ან სამუშაოთა სახეობების დასახელება | ზომის ერთეული | უნდა მიმზადდეს გვების მიხედვით თვის | შესრულებულია საანგარიშო პერიოდისათვის | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | შესრულების პროცენტი | შენიშვნა |
| საცხოვრებელი ნაგებობანი | ნაგებობა / ათასი კვ. მ. | | | | |
| აქედან: | | | | | |
| დამაკმაყოფილებელ ტექნიკურ მდგომარეობაშია | | | | | |
| მათ შორის: | | | | | |
| არ მოითხოვს რემონტს | | | | | |
| მოითხოვს მცირე მიმდინარე რემონტს | | | | | |
| არადამაკმაყოფილებელ ტექნიკურ მდგომარეობაშია | | | | | |
| უნდა შერემონტდეს | | | | | |
| არ უნდა შერემონტდეს | | | | | |
| ძირითადი კონსტრუქციებისა და საერთო სარგებლობის ადგილების წესრიგში მოყვანა: | | | | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| ობიექტების ან სამუშაოთა სახეობების დასახელება | ზომის ერთეული | უნდა მომზადდეს ამგვის მიხედვით თვის | შესრულებულია საანგარიშო პერიოდისათვის | შესრულების პროცენტი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| ლითონის სახურავისა | ნაგებობა | | | | |
| | ათასი კვ. მ. სახურავი | | | | |
| რბილი (რულონის მასალების) სახურავისა | „ | | | | |
| კიბის უჯრედებისა | ნაგებობა | | | | |
| | ათასი კვ. მ. | | | | |
| შესასვლელებისა და სადარბაზოებისა | ნაგებობა | | | | |
| | სადარბაზო | | | | |
| ფასადებისა | ნაგებობა | | | | |
| | ათასი კვ. მ. | | | | |
| წყალსადინარი მილების ცოკოლებისა (შეღებილი) | ნაგებობა | | | | |
| | ათასი გრძ. მ. | | | | |
| თანაორმოებისა (შეღებილი) | ნაგებობა | | | | |
| | ცალი | | | | |
| შემონაკირწყლისა და წყალსარინი ღარებისა | ნაგებობა | | | | |
| | ათასი გრძ. მ. | | | | |
| პარმაღებისა, (შეღებილი) | ნაგებობა | | | | |
| | ცალი | | | | |
| ლოჯიებისა და აივნებისა | ნაგებობა | | | | |
| | ცალი | | | | |
| სარდაფებისა | ნაგებობა | | | | |
| სხვენებისა | „ | | | | |
| ბინებში საერთო სარგებლობის ადგილებისა | ბინა | | | | |
| | სადგომი | | | | |
| ბინების რემონტი მოსახლეობის სახსრების ხარჯზე | ბინა | | | | |
| | ათასი მანეთი | | | | |
| სახლშიგა ქსელებისა და ცენტრალური გათბობის მოწყობილობათა მომზადება და რემონტი | ბინა | | | | |
| მათ შორის: | | | | | |
| კაპიტალური | | | | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| ობიექტების ან სამუშაოთა სახეობების დასახელება | ზომის ერთეული | ჯნდა მომზადდეს მეგმის მიხედვით თვის | შესრულებულია საანგარიშო პერიოდისათვის | შესრულების პრო-ცენტი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| მიმდინარე | | | | | |
| სულ | | | | | |
| სახლმფლობელობათა ტერიტორიების კეთილმოწყობის სამუშაოები: | | | | | |
| ფარდულებისა და სხვა საეზო ნაგებობათა აღება | ცალი | | | | |
| არატიპობრივი ღობურების აღება | ათასი გრძ. მ. | | | | |
| თვითნებურად აშენებული გარაჟების აღება | ცალი | | | | |
| საფარის მოასფალტება | ათასი კვ. მ. | | | | |
| სამეურნეო მოედნები: | | | | | |
| — მოასფალტება (რემონტი) | ცალი | | | | |
| — შემოღობვა | „ | | | | |
| ბავშვთა სათამაშო მოედნების რემონტი ან დამატებით მოწყობა | „ | | | | |
| სპორტული მოედნები: | | | | | |
| — რემონტი | „ | | | | |
| — მოწყობა | „ | | | | |
| ხეების დარგვა | ათასი ძირი | | | | |
| ბუჩქების დარგვა | „ | | | | |
| გაზონების გაშენება | ათასი კვ. მ. | | | | |
| მუშაობა საზოგადოებრიობასთან: | | | | | |
| სახლებისა და სადარბაზოების საბჭოები | ერთეული /კაცი | | | | |
| ნებაყოფლობითი სარემონტო რაზმეულები | | | | | |
| მოსახლეობის მორიგეობა | ნაგებობა | | | | |
| | საღარბაზო | | | | |
| სოციალისტური შეჯიბრება შემდეგ წოდებათა მოსაპოვებლად: | | | | | |
| — სახიმუშოდ მოვლილი სადარბაზო | | | | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| ობიექტების ან სამუშაოთა სახეობების დასახელება | ზომის ერთეული | უნდა მომზადდეს მეგმის მიხედვით თვის | შესრულებულია საანგარიშო პერიოდისთვის | შესრულების პროცენტი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| — სანიმუშოდ მოვლილი საცხოვრებელი სახლი | | | | | |
| — საბინაო-საექსპლუატაციო უბნის ოსტატის საუკეთესო უბანი | | | | | |
| — საბინაო ფონდის სანიმუშოდ მოძველილი | | | | | |
| საბინაო-საექსპლუატაციო უბანი (ტრესტი) | | | | | |

დამთვალიერებელი კომისიის
თავმჯდომარე (თანამდებობის აღნიშვნით)

დამთვალიერებელი კომისიის წევრები:
(თანამდებობის აღნიშვნით)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

## 3 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 13 ნოემბრის № 1024 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„ბანკის კრედიტით სარგებლობისათვის პროცენტული განაკვეთებისა და ფასის ოდენობის შესახებ სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 13 ნოემბრის № 1024 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— II პუნქტის მე-7 ქვეპუნქტის მესამე აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 26 სექტემბრის № 568 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 21 მაისის № 368 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ“;

— მე-8 პუნქტის მესამე, მეოთხე და მეხუთე აბზაცები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 10 მარტის № 149 დადგენილებისა „სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის 1977 წლის საკრედიტო გეგმის შესახებ“;

— მე-2 პუნქტის მეცხრე და მეთერთმეტე აბზაცები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 6 ოქტომბრის № 611 დადგენილებისა „საქართველოს სსრ საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის დებულების დამტკიცების შესახებ“.

2. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 13 ნოემბრის № 1024 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა:

— მე-16 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 25 დეკემბრის № 1245 დადგენილებისა „სახალხო მეურნეობაში ანგარიშსწორების გაუმჯობესების ზომების შესახებ“, რომლებიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 8 თებერვლის № 57 დადგენილებით;

— მე-10 პუნქტი და მე-13 პუნქტის მეხუთე აბზაცი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 3 აპრილის № 280 დადგენილებისა „სახალხო მეურნეობაში დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების შემდგომი გაუმჯობესების და წარმოების სტიმულირებაში კრედიტის როლის ამაღლების ზომების

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესახებ", რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 7 მაისის № 291 დადგენილებით;

— მე-7 პუნქტის მესამე აბზაცი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 აპრილის № 309 დადგენილებისა „სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 22 ივლისის № 439 დადგენილებით;

— მე-17 პუნქტის მეორე აბზაცი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 23 აპრილის № 278 დადგენილებისა „სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის ორგანიზაციის საკითხზე სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა გაერთიანების შესახებ", რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 13 მაისის № 388 განკარგულებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1981 წ. 9 იანვარი, № 19

## 4 საქართველოს სსრ კანონთა წიგნში შესატან საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებში ტერმინებისა და სახელწოდებების დაზუსტების შესახებ

საქართველოს სსრ კანონთა წიგნის გამოსაცემად მომზადებასთან და საქართველოს სსრ მთავრობის ადრე მიღებულ დადგენილებებში მოძველებული ტერმინებისა და სახელწოდებების ამოღების აუცილებლობასთან დაკავშირებით და „სსრ კავშირის კანონთა კრებულში შესატან სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებებში ტერმინებისა და სახელწოდებების დაზუსტების შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 4 დეკემბრის № 1124 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ კანონთა წიგნში შესატან საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებში მოძველებული ტერმინები და სახელწოდებები შეიცვლება იმ ტერმინებითა და სახელწოდებებით, რომლებიც გამოყენებულია სსრ კავშირის კონსტიტუციაში, საქართველოს სსრ კონსტიტუციაში და კანონში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს შეცვალოს საქართველოს სსრ კანონთა წიგნში შესატან საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა ტექსტებში მოძველებული ტერმინები და სახელწოდებები კანონთა წიგნის შესაბამისი კარის მასალების ფორმირების დროს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1981 წ. 16 იანვარი, № 30

## 5 დ. ა. გამრეკელის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

გამოჩენილი ქართველი მომღერლის, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის დავით ალექსანდრეს ძე გამრეკელის ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა:

— მიაკუთვნოს დ. ა. გამრეკელის სახელი ქალაქ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას;

— გაუკეთოს მემორიალური დაფა სახლს, რომელშიც ცხოვრობდა დ. ა. გამრეკელი.

2. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ დააწესოს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში დ. ა. გამრეკელის სახელობის ერთი სტიპენდია დამტკიცებული სასტიპენდიო ფონდის ფარგლებში.

3. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმმა და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმმა მოაწყონ დ. ა. გამრეკელის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ექსპოზიცია.

4. საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან ერთად მოამზადოს და გამოსცეს მონოგრაფია დ. ა. გამრეკელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, აგრეთვე დ. ა. გამრეკელის წიგნი „30 წელი საოპერო სცენაზე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა გადაიღოს მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი დ. ა. გამრეკელის შესახებ.

6. სრულიად საკავშირო ფირმა „მელოდიის“ თბილისის გრამფირფიტების ჩამწერმა სტუდიამ 1981 წელს გამოუშვას გრამფირფიტები დ. ა. გამრეკელის მიერ შესრულებულ მუსიკალურ ნაწარმოებთა ჩანაწერებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1981 წ. 21 იანვარი, № 42

## 6 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის, ცხვრის, თხის, ბოცვრისა და ფრინველის ხორცის შესასყიდი ფასების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს და შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1981 წლის 1 იანვრიდან მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის, ცხვრის, თხის, ბოცვრისა და ფრინველის ხორცის შემდეგი შესასყიდი ფასები:

| | მანეთობით ტონა ხორცი |
|---|---|
| **მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა** | |
| **მოზრდილისა** | |
| უმაღლესი ნაკვებობისა | 4853 |
| საშუალო ნაკვებობისა | 4500 |
| **მოზარდეულისა** | |
| უმაღლესი ნაკვებობისა | 4853 |
| საშუალო ნაკვებობისა | 4480 |

| | მანეთობით ტონა ხორცი |
|---|---|
| **ღორისა** | |
| **გატყავებული ღორის ხორცი** | |
| სახორცე ღორისა (II კატეგორია) | 3942 |
| საქონე ღორისა (III კატეგორია) | 3291 |
| ბურვაკისა (II კატეგორია) | 4368 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | |
|---|---|
| **გაუტყავებელი ღორის ხორცი** | |
| **საბეკონე ღორისა (I კატეგორია)** | 3850 |
| სახორცე ღორისა (II კატეგორია) | 3472 |
| საქონე ღორისა (III კატეგორია) | 2960 |
| ბურვაკისა (II კატეგორია) | 3853 |
| **კრუპონირებული ღორის ხორცი** | |
| სახორცე ღორისა (II კატეგორია) | 3718 |
| საქონე ღორისა (III კატეგორია) | 3146 |

| | ზონები | | |
|---|---|---|---|
| **ცხვრისა და თხისა** | I | II | III |
| უმაღლესი ნაკვებობისა | 4923 | 4565 | 4398 |
| საშუალო ნაკვებობისა | 4413 | 4041 | 3865 |
| **ბოცვრისა** | | | |
| I კატეგორია | | | 6146 |
| II კატეგორია | | | 5816 |

| | კატეგორიები | |
|---|---|---|
| **ფრინველისა** | I | II |
| ნახევრად გამოშიგნული ქათმისა | 3310 | 2290 |
| გამოშიგნული ქათმისა | 4260 | 3130 |
| გამოშიგნული ქათმისა შიგ ჩადებული დამუშავებული შიგნეულით (გულ-ღვიძლი, კუნთოვანი კუჭი და კისერი) | 3630 | 2730 |
| ნახევრად გამოშიგნული წიწილისა და ბროილერისა | 3640 | 2650 |
| გამოშიგნული წიწილისა და ბროილერისა | 4950 | 3860 |
| გამოშიგნული წიწილისა და ბროილერისა შიგ ჩადებული დამუშავებული შიგნეულით (გულ-ღვიძლი, კუნთოვანი კუჭი და კისერი) | 4080 | 3230 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1981 წ. 30 იანვარი, № 62.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 7 სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანებათა ზოგადი დებულებით დაწესებული პირობების მიხედვით საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს მუშაობის ორგანიზაციის შესახებ

რესპუბლიკის საშენ მასალათა მრეწველობის მართვის შემდგომი სრულყოფის, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს მუშაობაში ოპერატიულობის გაძლიერებისა და მმართველობის აპარატის მუშაკთა მატერიალური დაინტერესების ამაღლების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს წინადადება იმის შესახებ, რომ 1981 წლის 1 მარტიდან გაუქმდეს ტრესტი „საქმარმარილო", როგორც ადმინისტრაციული მართვის შუალედური რგოლი, და მისი საქვეუწყებო საწარმოები უშუალოდ დაექვემდებაროს აღნიშნულ სამინისტროს.

ტრესტ „საქმარმარილოს" გაუქმებასთან დაკავშირებით გადიდდეს საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო რიცხოვნობა 26 ერთეულით, ამასთან გათვალისწინებულ იქნეს მინისტრის მოადგილის დამატებითი თანამდებობის შემოღება.

ჩაითვალოს საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფად აღნიშნულ სამინისტროსთან შექმნილი 11-საშტატოერთეულიანი საკონტროლო-სარევიზიო სამმართველო, რომლის შენახვა ხორციელდება მისი საქვეუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციების პროდუქციის თვითღირებულების ანარიცხების ხარჯზე.

2. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, საქართველოს მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან და სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროსთან შეთანხმებული წინადადება იმის შესახებ, რომ საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს მუშაობა 1981 წლის 1 მარტიდან განხორციელდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 მარტის № 140 დადგენილებით დამტკიცებული სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანებათა ზოგადი დებულებით დაწესებული პირობების მიხედვით (109-ე—113-ე პუნქტების გარდა).

3. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის შენახვა ხორციელდება მისი საქვეუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების ანარიცხების ხარჯზე.

4. დამტკიცდეს:

— თანდართული დებულება საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირების წესის შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა წახალისების ცენტრალიზებული ფონდებიდან ანარიცხების ნორმატივები და პრემიების ოდენობა 1981 წლისათვის, № 1 დანართის თანახმად;

— დამატებითი მაჩვენებლები, რომელთა მიხედვით დავალებათა შეუსრულებლობისას შეუმცირდებათ პრემიების ოდენობა საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს აპარატის ხელმძღვანელ მუშაკებს, № 2 დანართის თანახმად;

— საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურა სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანებათა ზოგადი დებულებით დაწესებული პირობების მიხედვით მისი მუშაობის ორგანიზაციასთან დაკავშირებით, № 3 დანართის თანახმად.

5. საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ წარმოუდგინოს 1982 წლის მეორე კვარტალში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოხსენება ახალ პირობებში აღნიშნული სამინისტროს მუშაობის შედეგების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1981 წ. 19 თებერვალი, № 113

**დამტკიცებულია**
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1981 წლის 19 თებერვლის № 113 დადგენილებით

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირების წესის შესახებ

ეს დებულება შემუშავებულია სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის და საკავშირო პროფსაბჭოს მიერ 1979 წლის 6 ივნისს დამტკიცებული სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ სამრეწველო გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთიანებათა მმართველობის მუშაკთა პრემირების წესის ტიპობრივი დებულების საფუძველზე.

დებულება შემოღებულია იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს აპარატის მუშაკთა მატერიალური დაინტერესება წარმოების შემდგომი განვითარებითა და სრულყოფით, შესაბამის სახეობათა პროდუქციაზე სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილებით, შრომის ნაყოფიერების ზრდით, ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფით, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებითა და მისი თვითღირებულების შემცირებით, შრომითი და ფინანსური დანახარჯების ეკონომიით.

## I. პრემირების მაჩვენებლები და პირობები

1. საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს აპარატის ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს პრემიები მიეცემათ პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის, შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის წარმოების საერთო მოცულობაში ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წონის და უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის (ცემენტი, აზბესტცემენტის ფურცლები, საკედლე მასალები, არამადნეული მასალები, ბუნებრივი ქვის მოსაპირკეთებელი მასალები, მოსაპირკეთებელი კერამიკისა და მეტლახის ფილები) წარმოების ნომენკლატურის მიხედვით სამინისტროს კვარტალური გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეუძლია სამინისტროს აპარატის მუშაკთა პრემირების ნება დართოს საანგარიშო კვარტალში ცალკეულ სახეობათა პროდუქციის დაწესებული ნომენკლატურის მიხედვით წარმოების გეგმის შეუსრულებლობის შემთხვევებში, თუ ეს პროდუქცია გათვალისწინებული იყო მოცემულ სამინისტროში მოხმარებისათვის, ხოლო სხვა სამინისტროთა (უწყებათა) საწარმოებისათვის მისი მიწოდების ხელშეკრულებანი შესრულდა.

2. ამ დებულების 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი მაჩვენებლის მიხედვით დავალებათა შეუსრულებლობისას პრემია არ გაიცემა. როგორც გამონაკლისი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეუძლია ნება დართოს სამრეწველო გაერთიანებათა ხელმძღვანელებს მისცენ პრემიები ცალკეულ სტრუქტურულ ქვედანაყოფთა მუშაკებს მათთვის დაწესებულ დავალებათა შესრულებისათვის (მაგალითად, კაპიტალური მშენებლობის განყოფილების მუშაკებს—საანგარიშო კვარტალში მშენებარე ობიექტების ამოქმედების გეგმის შესრულებისათვის, ტექნიკური განყოფილების მუშაკებს — ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვის გეგმის შესრულებისათვის და ა. შ.). ამასთან პრემია არ შეიძლება აღემატებოდეს პრემირების მაჩვენებლების მიხედვით დავალებათა შესრულებისათვის დაწესებული ოდენობის 50 პროცენტს.

პრემირება დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის შეიძლება შემოღებულ იქნეს არა ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით, არამედ მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოცემული გაერთიანებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებლების მიხედვით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეუძლია გადაწყვიტოს საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს აპარატის მუშაკთა პრემირების საკითხი საანგარიშო კვარტალში ნომენკლატურის გეგმებით გათვალისწინებული ცალკეულ სახეობათა პროდუქციის წარმოების დავალებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, თუ ამ სახეობათა პროდუქცია დამზადდა და რეალიზებულია წინა პერიოდში ან მოიხსნა წარმოებიდან მომხმარებლის (შემკვეთის) მოთხოვნით, რაც დადასტურებულია საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ.

პროდუქციის რეალიზაციის, თვითღირებულებისა და რენტაბელობის დონის მიხედვით გეგმები დაწესდება საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის, სახალხო მოხმარების ახალი და გაუმჯობესებული საქონლის მოქმედ საბითუმო ფასებზე ეფექტიანობისა და სახელმწიფო ხარისხის ნიშნის წამახალისებელი დანამატების გაუთვალისწინებლად, ხოლო გეგმების შესრულება შეფასდება ამ დანამატების გათვალისწინებით.

იმ შემთხვევაში, როცა პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის მიხედვით გეგმა ზემოაღნიშნული წამახალისებელი დანამატების გაუთვალისწინებლად არ შესრულდება, ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით დავალებათა შესრულებისათვის დარიცხული პრემიების ოდენობა შემცირდება.

პრემიების ოდენობის შემცირების სკალას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო პროფკავშირთა შესაბამის კომიტეტებთან შეთანხმებით.

3. ამ დებულების 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ პრემირების მაჩვენებლებთან ერთად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან შეთანხმებით დააწესებს საშენ მასალათა მრეწველობის ამოცანებისა და თავისებურებების გათვალისწინებით პრემირების დამატებითს მაჩვენებლებს სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკებისათვის (მინისტრი და მისი მოადგილეები).

დანარჩენი მუშაკებისათვის პრემირების დამატებითს მაჩვენებლებს დააწესებს საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით .

დამატებითი მაჩვენებლების მიხედვით დავალებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს აპარატის მუშაკებს პრემიები შეუმცირდებათ ამ მაჩვენებლების მიხედვით დავალებათა შესრულების დონის შესაბამისად, მაგრამ არა უმეტეს 50 პროცენტისა.

4. საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს აპარატის მუშაკთა პრემირებისას მხედველობაში მიიღება პროდუქციის მიწოდების ვალდებულებათა შესრულება დადებული ხელშეკრულებების (შესასრულებლად მიღებული განრიგების) და საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციათა შეკვეთა-განრიგების შესაბამისად გათვალისწინებული ოდენობით, ვადებში და ნომენკლატურით (ასორტიმენტით). პროდუქციის მიწოდების აღნიშნულ ვალდებულებათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუსრულებლობისას სამინისტროს აპარატის მუშაკებს პრემიები შეუმცირდებათ იმ ოდენობით, რომელსაც განსაზღვრავს საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო.

## II. პრემირების წყაროები და პრემიების ოდენობა

5. საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს აპარატის მუშაკთა პრემირება ხორციელდება სამინისტროს მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდიდან, რომელიც იქმნება მატერიალური წახალისების საერთო ფონდის ფარგლებში. ამასთან მუშაკთა პრემირების სპეციალური ფონდი ამ დებულების შესაბამისად არ შეიქმნება. აღნიშნულ მუშაკთა პრემირებისათვის მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდიდან გამოსაყოფი სახსრების ოდენობა განისაზღვრება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული ნორმების მიხედვით.

სამრეწველო გაერთიანებებში, სადაც შემოღებულია ახალი თანამდებობრივი სარგოები, ზემოაღნიშნული სახსრების ნორმატივები იმგვარად განისაზღვრება, რომ პრემირების სახსრების თანხა შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღების წელს შეადგენდეს თანამდებობრივი სარგოების მიხედვით მმართველობის მუშაკთა ხელფასის ფონდის 10 პროცენტს.

სამრეწველო გაერთიანებათა მმართველობის მუშაკთა პრემირებისათვის გათვალისწინებული სახსრების ნაწილი შეიძლება ცენტრალიზებულ იქნეს (არა უმეტეს 15 პროცენტის ოდენობით) და საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ გამოიყენოს გაერთიანებათა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გაერთიანებების კოლექტივების წასახალისებლად.

სამრეწველო გაერთიანებათა მმართველობის მუშაკთა პრემირებისათვის სახსრების ნორმატივების დადგენისა და დამტკიცების კონკრეტული წესი განისაზღვრება სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული საუწყებათაშორისო კომისიის 1979 წლის 17 მაისის № 351ბ ოქმის შესაბამისად.

6. ამ დებულებით გათვალისწინებული პრემირების მაჩვენებლების მიხედვით დავალებათა შესრულებისათვის საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს აპარატის მუშაკთა პრემირების ოდენობა დაწესდება ყოველწლიურად იმ სახსრების ფარგლებში, რომლებიც გამოყოფილია აღნიშნულ მუშაკთა პრემირებისათვის მოცემულ წელს დამტკიცებული ნორმატივების შესაბამისად.

პრემირებას არ შეიძლება მოხმარდეს სახსრები, რომლებიც დამტკიცებული ნორმატივის შესაბამისად შეეძლოთ გამოეყენებინათ ამ მიზნით წინა წელს, მაგრამ არ დაუხარჯავთ დაწესებული მაჩვენებლების მიხედვით დავალებათა და პრემირების პირობების შეუსრულებლობის გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკებისათვის პრემიების ოდენობას დააწესებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან შეთანხმებით. ამ მუშაკთა პრემიების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სამინისტროს აპარატის მუშაკთა პრემიების საშუალო ოდენობას (მათი თანამდებობრივი სარგოების პროცენტულად).

სამინისტროს აპარატის დანარჩენი მუშაკებისათვის პრემიების ოდენობას დააწესებს სამინისტრო პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

სამინისტროს აპარატის მუშაკებისათვის პრემიების ოდენობის დაწესებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს სამინისტროს ხაზით საგეგმო მაჩვენებლების დაძაბულობა, შრომის ნაყოფიერების ზრდა, საწარმოო სიმძლავრეების, ნედლეულის, მასალების, სათბობის, ენერგიის გამოყენების დონე.

პრემირების მაჩვენებლების მიხედვით დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის პრემიების ოდენობა განისაზღვრება გეგმის გადაჭარბებით შესრულებასთან დაკავშირებით მუშაკთა მატერიალური წახალისებისათვის დამატებით შემოსული (დამტკიცებული ნორმატივის მიხედვით) სახსრების ფარგლებში.

7. კვარტალში მუშაობის შედეგების მიხედვით საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკებისათვის დარიცხული პრემიები შემცირდება 0,5 პროცენტით ყოველი იმ საქვეუწყებო საწარმოსათვის, რომელსაც არ შეუსრულებია დავალებანი მისთვის დაწესებული ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით და პრემირების პირობები, დავალებათა შეუსრულებლობისათვის თითოეული მაჩვენებლის მიხედვით.

გეგმის შესრულების ფაქტიური დონის შესაბამისად შემცირების მხრივ მისი კორექტირებისას გაერთიანებათა ხელმძღვანელ მუშაკებს ჩამოერთმევათ სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის კუთვნილი პრემიები მთლიანად ან ნაწილობრივ, მაგრამ არა ნაკლებ 50 პროცენტისა.

8. თუ საშუალო ხელფასის ზრდა უსწრებს წლის დამდეგიდან მზარდი შედეგით გამოანგარიშებულ შრომის ნაყოფიერების ზრდას, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს აპარატის მუშაკებისათვის თანამდებობრივი სარგოების პროცენტულად დარიცხული პრემიების ოდენობა შემცირდება 1 პროცენტით შრომის ნაყოფიერების ზრდასთან შედარებით საშუალო ხელფასის ზრდის ყოველ პროცენტში.

9. საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ხაზით ხელფასის ფონდის გადახარჯვისას მმართველობის აპარატის მუშაკებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ხელფასის ფონდის ხარჯვისათვის, დარიცხული პრემიები არ მიეცემათ. ამასთან სამინისტროს ხაზით ხელფასის ფონდის გადახარჯვა გამოიანგარიშება როგორც საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში ამ ფონდის შედარებითი გადახარჯვის (ეკონომიის) თანხა.

თუ საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ხაზით დაშვებული ხელფასის ფონდის გადახარჯვა ანაზღაურდება ექვს თვემდე ვადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში, აღნიშნულ მუშაკებს მიეცემათ მათთვის დარიცხული, მაგრამ ხელფასის ფონდის გადახარჯვასთან დაკავშირებით გაუცემელი პრემიის 50 პროცენტი.

იმ შემთხვევაში, თუ საანგარიშო პერიოდში საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ხაზით დაშვებულია ხელფასის ფონდის გადახარჯვა, მაგრამ კალენდარული წლის დამდეგიდან გასულ პერიოდში მიღწეულია საკმარისი ეკონომია ხელფასის ფონდის დაშვებული გადახარჯვის დასაფარავად, მმართველობის აპარატის მუშაკებს დარიცხული პრემიები მიეცემათ მთლიანად.

ხელფასის ფონდის ხარჯვისათვის პასუხისმგებელ პირებს მიეკუთვნებიან საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი, მისი მოადგილეები, საგეგმო განყოფილების უფროსი, შრომისა და ხელფასის განყოფილების უფროსი, მთავარი ბუღალტერი.

10. საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს აპარატის მუშაკთა პრემირება ხდება ყოველ კვარტალში მუშაობის შედეგების მიხედვით ამ პერიოდში გასაცემად დარიცხული პრემიის 75 პროცენტის ოდენობით. პრემიის დანარჩენი 25 პროცენტი გაიცემა სამეურნეო წლის შედეგების მიხედვით იმ პირობით, თუ მთლიანად წლის განმავლობაში შესრულდება ამ დებულების 1-ლი პუნქტის შესაბამისად დაწესებული პრემირების ძირითადი მაჩვენებლების დავალებანი. ცალკეული ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით დავალებათა შეუსრულებლობისას პრემია, რომელიც უნდა გაიცეს წლის შედეგების მიხედვით, შემცირდება 50 პროცენტამდე.

11. საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკები შეიძლება პრემირებულ იქნენ განსაკუთრებით მნიშვნელოვან საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის. პრემიები ამ დავალებათა შესრულებისათვის გაიცემა იმ სახსრებიდან, რომლებიც გამოიყოფა საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის განკარგულებაში მუშაკთა პრემირებისათვის. ამასთან განსაკუთრებით მნიშვნელოვან დავალებათა შესრულებისათვის პრემიის ოდენობა ერთ მუშაკზე არ შეიძლება აღემატებოდეს ერთი თვის თანამდებობრივ სარგოს წელიწადში.

12. ამ დებულების მე-10 და მე-11 პუნქტების შესაბამისად ერთი მუშაკისათვის მიცემული პრემიის საერთო თანხა, გაერთიანებათა შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით კუთვნილი პრემიების გარდა, არ უნდა აღემატებოდეს სამი თვის თანამდებობრივ სარგოს წელიწადში.

## III. ზოგადი დებულებანი

13. საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკებისათვის პრემიების დარიცხვის საფუძველს წარმოადგენს საბუღალტრო და სტატისტიკური ანგარიშგების მონაცემები, აგრეთვე ოპერატიული აღრიცხვის მონაცემები.

14. მუშაკებს პრემიები დაერიცხებათ თანამდებობრივ სარგოზე ფაქტიურად ნამუშევარი დროისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. მუშაკებს, რომლებმაც იმუშავეს არასრული კვარტალი სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან, სასწავლებელში შესვლასთან, პენსიაზე გადასვლასთან, შტატების შემცირების და სხვა საპატიო მიზეზების გამო დათხოვნასთან დაკავშირებით, პრემიები დაერიცხებათ ფაქტიურად ნამუშევარი დროისათვის.

16. პრემიებს სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის დაამტკიცებს:

— საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკებისათვის — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო;

— სამინისტროს მმართველობის აპარატის დანარჩენი მუშაკებისათვის — საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი.

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს აპარატის მუშაკთა პრემიებს განსაკუთრებით მნიშვნელოვან დავალებათა შესრულებისა და შჩეკინოელთა მეთოდის წარმატებით დანერგვისათვის დაამტკიცებს მინისტრი.

17. საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრს პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით შეუძლია გაადიდოს ამ დებულების მე-12 პუნქტში აღნიშნული საერთო ოდენობის ფარგლებში ან შეამციროს მუშაობის ხარისხისა და მუშაკის პირადი წვლილის გათვალისწინებით მისთვის დარიცხული პრემია, მაგრამ არა უმეტეს 25 პროცენტისა.

მუშაობაში არსებული ხარვეზებისათვის სამინისტროს აპარატის ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს შეიძლება ჩამოერთვათ პრემია მთლიანად ან ნაწილობრივ.

ცალკეულ მუშაკებს შეიძლება ჩამოერთვათ პრემიები ანგარიშგების წამატებისა და დამახინჯებისათვის (სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 19 მაისის № 440 დადგენილება სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის და საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოს 1975 წლის 8 აგვისტოს № 13/19 განმარტება).

მმართველობის აპარატის ხელმძღვანელ მუშაკთა პრემიის ოდენობას გადიდებს (შეამცირებს) ან პრემიას ჩამოართმევს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

18. ამ დებულების მე-5 და მე-10 პუნქტების შესაბამისად გაცემული პრემიები მხედველობაში მიიღება მომუშავის საშუალო ხელფასის გამოანგარიშებისას.

19. ამ დებულებით გათვალისწინებული პრემიების გარდა საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს მუშაკებს შეიძლება მიეცეთ პრემიები გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხელშეწყობისათვის, საზღვარგარეთ გასაყიდად საბჭოთა გამოგონებებისა და სამეცნიერო-ტექნიკური შიღწევების ლიცენზიების დასაპატენტებლად და მოსამზადებლად მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის. ამ მუშაკებს პრემიები სხვა სპეციალური სისტემების მიხედვით, აგრეთვე გასამრჯელო წლიური მუშაობის საერთო შედეგებისათვის არ მიეცემათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 8 თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თბილისის ზღვის კეთილმოწყობისა და განაშენიანების სპეციალიზებული სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს დებულება თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თბილისის ზღვის კეთილმოწყობისა და განაშენიანების სპეციალიზებული სამმართველოს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1981 წ. 19 თებერვალი, № 116

დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 19 თებერვლის № 116 დადგენილებით

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### თბილისის ზღვის კეთილმოწყობისა და განაშენიანების სპეციალიზებული სამმართველოს შესახებ

### I. ზ ო გ ა დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი

1. თბილისის ზღვის კეთილმოწყობისა და განაშენიანების სპეციალიზებული სამმართველო შექმნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 6 ივლისის № 780 განკარგულების საფუძველზე თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1978 წლის 26 ივლისის № 1122 განკარგულებით.

2. თბილისის ზღვის კეთილმოწყობისა და განაშენიანების სპეციალიზებული სამმართველო ექვემდებარება თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომსა და საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს. მისი ადგილსამყოფელია ქ. თბილისი.

3. თბილისის ზღვის კეთილმოწყობისა და განაშენიანების სპეციალიზებული სამმართველო წარმოადგენს სამეურნეო ორგანიზაციას, მისი შენახვა ხდება თბილისის ზღვის სანაპიროზე განლაგებული ორგანიზაციებისაგან მიღებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანარიცხებისა და საქალაქო ბიუჯეტით კეთილმოწყობის ღონისძიებებისათვის გათვალისწინებული თანხებიდან.

4. თბილისის ზღვის კეთილმოწყობისა და განაშენიანების სპეციალიზებული სამმართველო სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით; აქვს ბეჭედი საქართველოს სსრ გერბისა და თავისი სახელწოდების გამოსახულებით და დადგენილი ნიმუშის შტამპი.

## II. სამმართველოს ამოცანები

1. თბილისის ზღვის კეთილმოწყობისა და განაშენიანების სპეციალიზებული სამმართველოს ამოცანასა და მოვალეობას შეადგენს:

— თბილისის ზღვის განაშენიანებისა და კეთილმოწყობის გენერალური გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა ხელმძღვანელობა;

— ზღვის ტერიტორიაზე მშენებარე ობიექტების კაპიტალურ დაბანდებათა რაციონალურად გამოყენება მათი დაქვემდებარებისა და დაფინანსების წყაროს მიუხედავად, მათი ეფექტიანობის ამაღლება, მშენებლობის ღირებულებისა და ვადების შემცირება, საწარმოო სიმძლავრეთა და ძირითადი ფონდების დროული ამოქმედება;

— თბილისის ზღვის სანაპირო ტერიტორიაზე განლაგებული საწარმო-დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთებზე კეთილმოწყობისა და სანიტარიული მდგომარეობისადმი კონტროლი;

— თბილისის ზღვის აუზის გაბინძურებისაგან დაცვა;

— თბილისის ზღვაზე არსებული სამსახურებისადმი (წყალმაშველი სადგური, საწყლოსნო და საქალაქო ტრანსპორტი) ზედამხედველობა.

2. ძირითადი ამოცანების შესასრულებლად თბილისის ზღვის კეთილმოწყობისა და განაშენიანების სპეციალიზებული სამმართველო:

— შეიმუშავებს და განახორციელებს პრაქტიკულ ღონისძიებებს კეთილმოწყობის სამუშაოთა გასაუმჯობესებლად;

— შეიმუშავებს და წარუდგენს დასამტკიცებლად თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს მეურნეობის განვითარების პერსპექტიულ, წლიურ და კვარტალურ გეგმებს;

— სარგებლობს შესასრულებელი სამუშაოების დამკვეთის უფლებებით, გააფორმებს ხელშეკრულებებს მოიჯარე ორგანიზაციებთან კეთილმოწყობის ყველა სახის სამუშაოთა შესასრულებლად და ზღვის სანაპირო ტერიტორიაზე არსებული ობიექტების (გამწვანება, გზები, განათება და სხვა) მოვლა-პატრონობის, კაპიტალური და მიმდინარე შეკეთების განსახორციელებლად. დააფინანსებს სამუშაოებს. დააწესებს ტექნიკურ ზედამხედველობასა და დამთავრებულ ობიექტებს გადასცემს საექსპლუატაციოდ;

— დადგენილი წესის შესაბამისად განიხილავს და დაამტკიცებს კეთილმოწყობისა და განაშენიანების პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობენ ველყოფენ შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, თვითღირებულების შემცირებას, სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებას.

## III. სამმართველოს ხელმძღვანელობა

1. სამმართველოს ხელმძღვანელობს სამმართველოს უფროსი, რომელსაც საბჭოს სესიებს შუა პერიოდში დანიშნავს მოვალეობის შემსრულებლად და გაათავისუფლებს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი საქართველოს საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით და დაამტკიცებს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს მორიგი სესია. მთავარ ინჟინერს, მთავარ ბუღალტერს, საფინანსო-საგეგმო განყოფილების უფროსს, კეთილმოწყობისა და განაშენიანების განყოფილების უფროსს, რომლებიც თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ნომენკლატურაში შედიან, სამმართველოს უფროსის წარდგინებით დანიშნავს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

2. სამმართველოს უფროსი შრომის კანონმდებლობის შესაბამისად ბრძანებით დანიშნავს და გაათავისუფლებს სამმართველოს მუშა-მოსამსახურეებს.

3. სამმართველოს უფროსი ხელმძღვანელობს სამმართველოს ყველა ადმინისტრაციულ და ოპერატიულ სამუშაოს, განაგებს სამმართველოს ქონებასა და საშუალებებს, ახორციელებს სამმართველოს საქმიანობის სფეროს ყველა ოპერაციას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს და შეამოწმებს მათი შესრულების მიმდინარეობას.

4. სამმართველოს უფროსს უფლება აქვს:

— აწარმოოს ყველა ფულადი ოპერაცია, მათ შორის საკრედიტო ორგანიზაციებში ანგარიშების გახსნა და დახურვა;

— იყოს წარმომადგენელი პირადად ან რწმუნებულის მეშვეობით ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივ კოოპერაციულ დაწესებულებაში, საწარმოსა და ორგანიზაციაში, აგრეთვე სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებში სამმართველოს მუშაობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე;

— დადოს ხელშეკრულებანი და საქმიანი შეთანხმებანი, გასცეს მინდობილობები.

5. წლიურ ანგარიშებსა და ბალანსებს, ქვითრებს, ვალდებულებებსა და სხვა ფულად დოკუმენტებს ხელს აწერენ სამმართველოს უფროსი ან მისი არყოფნისას მთავარი ინჟინერი და მთავარი ბუღალტერი.

## IV. ანგარიშგება და რევიზია

1. თბილისის ზღვის კეთილმოწყობისა და განაშენიანების სპეციალიზებული სამმართველოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ დადგენილ ვადებში წარადგენს სათანადო ორგანიზაციებში საბუღალტრო ანგარიშებსა და ბალანსებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სამმართველოს სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის რევიზიას ახორციელებს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი და სხვა ზემდგომი ორგანოები.

3. ყველა იმ შემთხვევაში, რომელიც გათვალისწინებული არ არის ამ დებულებით, სამმართველო მოქმედებს არსებული კანონმდებლობის საფუძველზე.

4. ამ დებულებაში ცვლილებათა შეტანა ხდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

## 9 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 23 აგვისტოს № 482 დადგენილების მე-2 პუნქტის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს შუამდგომლობა „არქივმცოდნეობის დარგში საუკეთესო ნაშრომებისათვის აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის სახელობის პრემიების დაწესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 23 აგვისტოს №482 დადგენილების მე-2 პუნქტის ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „დაწესდეს აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის სახელობის პირველი პრემია 1000 მანეთის ოდენობით, მეორე — 500 მანეთის ოდენობით“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1981 წ. 19 თებერვალი, № 118

## 10 საქართველოს სს რესპუბლიკაში საქალაქთაშორისო საავტომობილო ტვირთზიდვის ორგანიზაციის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს დებულება საქართველოს სს რესპუბლიკაში საქალაქთაშორისო საავტომობილო ტვირთზიდვის ორგანიზაციის შესახებ, რომელიც შეთან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის სახმომარაგებასთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟთან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჩერქეზია.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1981 წ. 24 თებერვალი, № 133

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1981 წლის 24 თებერვლის № 133 დადგენილებით

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### საქართველოს სს რესპუბლიკაში საქალაქთაშორისო საავტომობილო ტვირთზიდვის ორგანიზაციის შესახებ

1. ეს დებულება არეგულირებს საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმო-ორგანიზაციათა და რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ სამინისტროების, უწყებების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სატვირთო ავტომობილების მფლობელთა ურთიერთობას, რაც დაკავშირებულია საქალაქთაშორისო ტვირთზიდვის განხორციელებასთან, თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ავტოსატრანსპორტო საწარმოების, გაერთიანებების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების გარდა.

2. საქალაქთაშორისო ტვირთზიდვას ასრულებენ, როგორც წესი, საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოები და ორგანიზაციები.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის წესდების შესაბამისად საქალაქთაშორისო ტვირთზიდვას განეკუთვნება ტვირთზიდვა, რომელიც ხორციელდება ქალაქის (დასახლებული პუნქტის) ფარგლებს გარეთ 50 კილომეტრზე მეტ მანძილზე.

სამინისტროებისა და უწყებების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საწარმოებს, გაერთიანებებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომელთაც შემდგომში ეწოდებათ „საუწყებო ავტოტრანსპორტის მფლობელნი“, შეუძლიათ განახორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციელონ საქალაქთაშორისო საავტომობილო ტვირთზიდვა ამ დებულებით გათვალისწინებული წესით.

3. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო ამტკიცებს საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა ნუსხას, რომელთაც შესაბამის რაიონში (ქალაქში) ეკისრებათ საქალაქთაშორისო ტვირთზიდვის ორგანიზაცია.

საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის აღნიშნულ საწარმოთა და ორგანიზაციათა ნუსხა ქვეყნდება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთზიდვის წესების კრებულში.

4. საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებმა და ორგანიზაციებმა საქალაქთაშორისო მიმოსვლის ტვირთნაკადების შესწავლის საფუძველზე განუწყვეტლივ უნდა სრულყონ საქალაქთაშორისო ტვირთზიდვის ორგანიზაცია, ამასთან მიიღონ ყოველგვარი ზომები იქით-აქეთ მოძრავი შემადგენლობის დასატვირთად.

5. საქალაქთაშორისო ტვირთზიდვის საკუთარი ძალებით განხორციელების აუცილებლობისას საუწყებო ავტოტრანსპორტის მფლობელნი მოვალენი არიან არა უგვიანეს დღის 14 საათისა და ავტომობილების გაგზავნის ვადამდე არანაკლებ 48 საათისა შეუთანხმონ ტვირთის გადაზიდვა საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომელთაც შესაბამის რაიონში (ქალაქში) ეკისრებათ საქალაქთაშორისო ტვირთზიდვის ორგანიზაცია, ამ დებულების დანართის თანახმად გათვალისწინებული ფორმის განაცხადის წარდგენის გზით.

საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოები და ორგანიზაციები მოვალენი არიან საუწყებო ავტოტრანსპორტის მფლობელის განაცხადის მიღების მომენტიდან არა უგვიანეს 24 საათის შემდეგ განიხილონ აღნიშნული განაცხადი და შეატყობინონ საუწყებო ავტოტრანსპორტის მფლობელს, ნება დაერთო თუ არა მას გაგზავნოს ავტომობილი საქალაქთაშორისო მიმოსვლით. ამასთან საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებსა და ორგანიზაციებს უფლება აქვთ ნება არ დართონ საუწყებო ავტოტრანსპორტის მფლობელებს გაგზავნონ სატვირთო ავტომობილები საქალაქთაშორისო მიმოსვლით (როგორც დატვირთული, ისევე დაუტვირთავი), თუ ამ საქალაქთაშორისო ტვირთზიდვას შესასრულებლად მიიღებენ საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოები და ორგანიზაციები ან დაიტვირთება იმავე მიმართულებით მიმავალი საუწყებო ავტოტრანსპორტის სხვა მფლობელთა ცარიელი ავტომობილები.

6. საქალაქთაშორისო მიმოსვლით ავტომობილების გაგზავნის ნებართვის გაცემის წესს და საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ იმ საქალაქთაშორისო ტვირთზიდვის აღრიცხვის წესს, რომელთაც საუწყებო ავტოტრანსპორტის მფლობელნი ასრულებენ, განსაზღვრავს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოები და ორგანიზაციები საქალაქთაშორისო მიმოსვლით სატვირთო ავტომობილების გაგზავნაზე საუწყებო ავტოტრანსპორტის მფლობელთათვის ნებართვის მიცემის უარის შემთხვევაში მოვალენი არიან მიიღონ გადასაზიდად შესაბამისი ტვირთი, ამასთან უზრუნველყონ ავტომობილების რეისში გაგზავნა განაცხადში აღნიშნულ ვადებში. რეგულარული საქალაქთაშორისო მიმოსვლის ტვირთების მიტანის ვადები გათვალისწინებულია ტვირთზიდვის ერთიანი ტარიფების გამოყენების წესებით.

8. საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ ავტომობილების მიწოდებას დასატვირთად ამ დებულების მე-7 პუნქტში აღნიშნულ ვადებში, საუწყებო ავტოტრანსპორტის მფლობელს გადაუხდიან საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის წესდების 124-ე მუხლით გათვალისწინებულ ჯარიმას, როგორც შესასრულებლად მიღებული ერთჯერადი შეკვეთის შეუსრულებლობისათვის, და მოვალენი არიან მისცენ საუწყებო ავტოტრანსპორტის მფლობელს ნებართვა გაგზავნოს თავისი ავტომობილები საქალაქთაშორისო მიმოსვლით ამ ტვირთის გადასაზიდად.

9. საუწყებო ავტოტრანსპორტის მფლობელნი, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ მათთვის გამოყოფილი ავტომობილების დატვირთვას, გადაუხდიან საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოს ან ორგანიზაციას, რომელმაც ავტომობილი გაუგზავნა, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის წესდების 124-ე მუხლით გათვალისწინებულ ჯარიმას, როგორც შესასრულებლად მიღებული ერთჯერადი შეკვეთის შესაბამისად ტვირთის გადასაზიდად წარუდგენლობისათვის.

10. საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებმაც გასცეს საქალაქთაშორისო მიმოსვლით ტვირთზიდვის ნებართვა, ამავე დროს მოვალენი არიან მიიღონ ყოველგვარი ზომები, რათა მისცენ საუწყებო ავტოტრასპორტის მფლობელს დავალება იმავე მიმართულებით მიმავალი ცარიელი სატვირთო ავტომობილების დასატვირთად, თუ საუწყებო ავტოტრანსპორტის მფლობელმა ვერ უზრუნველყო იქეთ-აქეთ ავტომობილების დატვირთვა.

ამასთან საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებმა და ორგანიზაციებმა უნდა გამოიყენონ რკინიგზის სადგურების საწყობებში არსებული ტვირთების მცირე პარტიებით საუწყებო ავტოტრანსპორტის მფლობელთა ცარიელი სატვირთო ავტომობილების იმ წესით დატვირთვის შესაძლებლობანი, რომელსაც ითვალისწინებს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 5 აგვისტოს № 598 დადგენილების შესაბამისად სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის 1969 წლის 13 ოქტომბრის № 45 დადგენილებით დამტკიცებული წესები რკინიგზის სადგურების საწყობებში არსებული ტვირთების მცირე პარტიებით იმავე მიმართულებით მიმავალი ცარიელი ავტომობილების დატვირთვის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. საუწყებო ავტოტრანსპორტის მფლობელნი, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ იმავე მიმართულებით ტვირთების გადაზიდვას ამ დებულების მე-10 პუნქტით გათვალისწინებული საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ გაცემული დავალებების შესაბამისად, გადაუხდიან ამ უკანასკნელთ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის წესდების 124-ე მუხლით გათვალისწინებულ ჯარიმას, როგორც შესასრულებლად მიღებული ერთჯერადი შეკვეთის შეუსრულებლობისათვის.

12. იმ შემთხვევებში, როცა საქალაქთაშორისო მიმოსვლით ტვირზიდვას ასრულებენ საუწყებო ავტოტრანსპორტის მფლობელნი ამ დებულების მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ იმავე მიმართულებით ცარიელი სატვირთო ავტომობილების დატვირთვის დავალებათა მიხედვით, იგი ფორმდება საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ გაცემული საქალაქთაშორისო სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადებებით.

13. როგორც საუწყებო, ისევე საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის სატვირთო ავტომობილების მძღოლებს, რომლებიც საქალაქთაშორისო მიმოსვლით იგზავნებიან, უნდა ჰქონდეთ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკისა და სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ 1977 წლის 28 დეკემბერს დამტკიცებული საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთზიდვის ანგარიშსწორების წესის შესახებ ინსტრუქციით დაწესებული ფორმის საქალაქთაშორისო საგზური.

14. საქალაქთაშორისო საგზურების ბლანკებს ცენტრალიზებულად ამზადებს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო და საუწყებო ავტოტრანსპორტის მფლობელებს მისცემენ საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოები და ორგანიზაციები საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მიერ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით დადგენილი წესის მიხედვით.

15. სატვირთო ავტომობილების გაგზავნა საქალაქთაშორისო მიმოსვლით (როგორც დატვირთული, ისევე დაუტვირთავი) საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის შესაბამისი საწარმოებისა და ორგანიზაციების ნებადაურთველად, აგრეთვე საქალაქთაშორისო საგზურების გარეშე არ დაიშვება.

საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს და ავტომობილების მუშაობისათვის პასუხისმგებელ თანამდებობის პირებს საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებისა და ორგანიზაციების ნებადაურთველად, აგრეთვე საქალაქთაშორისო საგზურების გარეშე საქალაქთაშორისო მიმოსვლით ავტომობილების გაგზავნის შემთხვევაში დაეკისრებათ პასუხისმგებლობა დადგენილი წესით.

16. საქართველოს სსრ საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოთა და ორგანიზაციათა ურთიერთობა სხვა მოკავშირე რესპუბლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კების საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებთან და ორგანიზაციებთან სარესპუბლიკათაშორისო ტვირთზიდვის ორგანიზაციისა და განხორციელების თაობაზე რეგულირდება საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტით სარესპუბლიკათაშორისო ტვირთზიდვის შესრულების წესებით, რომელთაც ამტკიცებენ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის მართვის ორგანოები სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით.

17. საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოთა და ორგანიზაციათა და საუწყებო ავტოტრანსპორტის მფლობელთა ურთიერთობას, რაც დაკავშირებულია იმავე მიმართულებით მიმავალი ცარიელი სატვირთო ავტომობილების დატვირთვასთან, არეგულირებს ინსტრუქცია მოკავშირე რესპუბლიკების საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოების მიერ იმავე მიმართულებით მიმავალი საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ცარიელი სატვირთო ავტომობილების დატვირთვის წესის შესახებ, რომელიც 1969 წლის 20 თებერვალს დაამტკიცა რუსეთის სფსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტრომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟთან შეთანხმებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 5 აგვისტოს № 598 დადგენილების შესაბამისად.

18. ავტოსატრანსპორტო საწარმოთა და ორგანიზაციათა ურთიერთობა ტვირთგამგზავნებთან და ტვირთმიმღებებთან საქალაქთაშორისო მიმოსვლით ტვირთზიდვის თაობაზე რეგულირდება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის წესდებით და მის შესაბამისად გამოცემული წესებით.

№ 1
საქართველოს სს რესპუბლიკაში საქალაქთაშორისო საავტომობილო ტვირთვა-ზიდვის ორგანიზაციის დებულების ბეჭდვითი ნართი

# ბ ა ნ ა ც ხ ა დ ი №———

## საუწყებო საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის გადასაზიდად

1. ——————————————

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დამატებითი ცნობები

1. ყველა ტვირთი მომზადებულია გადასაზიდად და (მოითხოვს, არ მოითხოვს) ავტომობილების დამატებით მოწყობილობას

_____

(დამატებითი მოწყობილობის დასახელება)

2. დატვირთვა-გადმოტვირთვის ადგილებთან მისასვლელები ვარგისია, ————ტონა საერთო ტვირთამწეობის მისაბმელიანი ავტომობილების მოსაბრუნებელი ადგილები არის.

3. დატვირთვა-გადმოტვირთვა უზრუნველყოფილ იქნება საავტომობილო ტრანსპორტისათვის დაწესებულ ვადებში.

4. სასაქონლო-სატრანსპორტო დოკუმენტები გაფორმდება დამტკიცებული ფორმის მიხედვით.

შემკვეთი ————————

(თანამდებობა, ხელმოწერა)

ბ. ა. ————————————————

მოჭრის ხაზი

---

ამხანაგო შემკვეთებო! ზუსტად და გარკვევით შეავსეთ განაცხადი.

სწორად გააფორმეთ სასაქონლო-სატრანსპორტო დოკუ მენტები.

მოსახევი ტალონი

განაცხადისა № ————

განაცხადი მიიღო ————

(თანამდებობა, ხელმოწერა, რიცხვი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 11 ი. ნონეშვილის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს მწერალთა კავშირისა და საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის წინადადება და გამოჩენილი ქართველი საბჭოთა მწერლის იოსებ ნონეშვილის ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით:

1. საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა გამოსცეს ი. ნონეშვილის თხზულებათა სრული კრებული.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ დააწესოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ფრიადოსანი სტუდენტებისათვის ი. ნონეშვილის სახელობის ერთი სტიპენდია სასტიპენდიო ფონდის ფარგლებში.

3. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა:

ა) გაუკეთოს მემორიალური დაფა სახლს, რომელშიც ცხოვრობდა ი. ნონეშვილი (კეკელიძის ქუჩა, № 14);

ბ) კეთილმოაწყოს ი. ნონეშვილის საფლავი, დადგას მასზე პოეტის ბიუსტი, ამასთან დახარჯოს აღნიშნული მიზნებისათვის 3.000 მანეთი;

გ) მიაკუთვნოს ი. ნონეშვილის სახელი ქალაქ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას.

4. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ შექმნას საზოგადოებრივ საწყისებზე ი. ნონეშვილის სამშობლოში — გურჯაანის რაიონის სოფელ კარდანახში პოეტის სახლ-მუზეუმი.

5. მიეკუთვნოს ი. ნონეშვილის სახელი ქალაქ გურჯაანის ერთ-ერთ ქუჩას და გურჯაანის რაიონის სოფელ კარდანახის კულტურის სახლს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჩერქეზია.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1981 წ. 27 თებერვალი № 143

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 12 საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ფრიადოსანი სტუდენტებისათვის აკადემიკოს ა. ი. დიდებულიძის სახელობის ორი სტიპენდიის დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დაწესდეს აკადემიკოს ა. ი. დიდებულიძის სახელობის ორი სტიპენდია საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ფრიადოსანი სტუდენტებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჩერქეზია.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1981 წ. 27 თებერვალი, № 144

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი—70107

# СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 1, 1981 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/X-81 წ. ქაღალდის ზომა 70×1/16,
საბეჭდი თაბახი 3, სააღრიცხვო თაბახი 3.

შეკვეთა № 466 უე 04376 ტირაჟი 1900

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

6109/185

ეროვნული
ბიბლიოთეკა